

კონსტანტინე ვეკუა

მშვიდობა, როგორც საერთო სიკეთე და დემოკრატიის მოდელები



თბილისი, 2017

## აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი საქართველოსა და ზოგადად, კავკასიაში პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის სამშვიდობო *modus vivendi*-ს წანამძღვრების ფილოსოფიური გააზრების მცდელობაა. მშვიდობა, როგორც საერთო სიკეთე და პიროვნული, თუ საზოგადოებრივი განვითარებისათვის არსებითი ღირებულება, განიხილება სხვადასხვა დემოკრატიული მოდელისთვის ნიშანდობლივი განსხვავებების ასპექტში. ზემოთაღნიშნული საკითხების ანალიზი გამოყენებულია იმ მიზნით, რომ გამოვკვეთოთ რეგიონისა და მისი შემადგენელი ქვეყნების ნეიტრალიტეტის სტატუსზე უკეთეს, უფრო ქმედით და მესამე ათასწლეულზე ორიენტირებული ხედვის მქონე კომპლექსურ სისტემად, მშვიდობის ზონად გარდაქმნის კონტურები.

**საკვანძო სიტყვები:** ლიბერალიზმი, რესპუბლიკანიზმი, სათათბირო დემოკრატია, დელიბერაცია, იურგენ ჰაბერმასი, კომუნიკაციური მოქმედების თეორია, დემოკრატია, საერთო სიკეთე, მშვიდობა, მშვიდობის ზონები, უსაფრთხოება, კავკასია, საქართველო, ნეიტრალიტეტი, იოჰან გალტუნგი, არისტოტელე, პლატონი.

**ანოტაცია:** 1. შესავალი. 2. საერთო სიკეთე. 3. საერთო სიკეთე დემოკრატიულ მოდელებში. 3.1. საერთო სიკეთე და დემოკრატიის ლიბერალური მოდელი. 3.2. საერთო სიკეთე და დემოკრატიის რესპუბლიკური მოდელი. 3.3. საერთო სიკეთე და დემოკრატიის სათათბირო მოდელი. 4. მშვიდობა, როგორც საერთო სიკეთე. 6. მშვიდობის ზონა, როგორც ნეიტრალიტეტის ალტერნატივა. 6. დასკვნა. 7. რეზიუმე. 8. ბიბლიოგრაფია

*„ ... რესპუბლიკურ წყობას, გარდა იმისა, რომ ის უფლების იდეის თავანკარა საწყისებისაგან წარმოსდგება, ასევე გააჩნია იმ სასურველი მიზნის მიღწევის შესაძლებლობა, რაც არის მარადიული მშვიდობა. რა არის ამის მიზეზი. იმ შემთხვევაში, თუკი (როგორც ეს გარდაუვალად მოხდება მოცემული კონსტიტუციის შემთხვევაში) თავად მოქალაქეებმა უნდა გადაწყვიტონ, „იყოს თუ არა ომი“; ომიანობით გამოწვეულ უბედურებათა საკუთარ თავზე დატყდომის პერსპექტივის გათვალისწინებით (შეტაკებებში პირადად მონაწილეობა; ომის ხარჯების საკუთარი ჯიბიდან გადახდა; ომისგან იავარყოფილის დიდი ტანჯვის ფასად აღდგენა და ბოლოს, როგორც ყველა ამ უკეთურების დაგვირგვინება, თვითონ მშვიდობის ისეთი მომშხამველი დავალიანებებით დატვირთვა, რომლებიც შემდგომი ახალი ომების მიზეზით არასოდეს იქნებიან ამოწურულნი) ყველაზე ბუნებრივი სწორედ ის იქნება, რომ მოქალაქეებმა ყურადღებით აწონ-დაწონონ ეს გარემოებანი, ვიდრე ისინი ამ ესოდენ საზარელ თამაშს შეუდგებიან“<sup>1</sup>*

იმანუელ კანტი

## 1. შესავალი

სახელმწიფოები და ხალხები, რომლებიც ცივილიზაციათა მიჯნაზე იმყოფებიან, მუდამჟამს განიცდიდნენ ოიკუმენეს ფარგლებში წარმოშობილი ისტორიული მოვლენების ზემოქმედებას. ეს ეხება, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ხასიათის ტენდენციებს. პატარა საქართველოსთვის, რომელიც მთელი თავისი მრავალათასწლოვანი არსებობის მანძილზე შეურიგებლად იღვწოდა

---

<sup>1</sup> „... la costituzione repubblicana, oltre alla limpidezza della sua origine, il suo essere scaturita dalla pura sorgente dell'idea di diritto, ha anche la prospettiva di quell'esito desiderato, la pace perpetua. E la ragione è la seguente. Se (come deve per forza accadere in questa costituzione) per decidere “se debba esserci o no la guerra” viene richiesto il consenso dei cittadini, allora la cosa più naturale è che, dovendo decidere di subire loro stessi tutte le calamità della guerra (il combattere di persona; il pagare di tasca propria i costi della guerra; il riparare con grande fatica le rovine che lascia dietro di sé e, per colmo delle sciagure, ancora un'altra che rende amara la pace, il caricarsi di debiti che, a causa delle prossime nuove guerre, non si estingueranno mai), rifletteranno molto prima di iniziare un gioco così brutto“, (იტალიურიდან თარგმანი - კონსტანტინე ვეკუა. გერმანული ენიდან რედაქტირება - კონსტანტინე ბრეგაძე), Kant Immanuel – Per la pace perpetua, Feltrinelli, Milano, 2001, p. 55-56

საკუთარი თვითმყოფადობისა და თავისუფლების შესანარჩუნებლად, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მიეღწია იმგვარი მდგომარეობისათვის, რაც ხელს შეუწყობდა მის ბუნებრივ განვითარებას. კონფლიქტებით მჭიდროდ დასერილ ისეთ რეგიონში, როგორც კავკასიაა, მშვიდობას, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ღირებულება გააჩნია.

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის თავიდანვე არაერთგვაროვანი ურთიერთობაა ჩამოყალიბებული, რაც ათასწლეულების განმავლობაში აღნიშნებოდა ცხოველი კულტურული, ცივილიზაციური, ეკონომიკური, პოლიტიკური კონტაქტებით, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ განსაკუთრებით, ტროას ომიდან მოყოლებული, ეს კავშირები, საკმაოდ ხშირად და საკვანძო ისტორიულ მომენტებში, საომარ ხასიათს ატარებდნენ. მოცემული პროცესი დღესაც გრძელდება და არ დასრულებულა, რის გამოც სისხლიანი პერიპეტიების მომსწრენი ვხდებით.

კავკასია ოდითგან ცივილიზაციათა შორის წარმოქმნილ ქარ-ცეცხლშია მოქცეული, რომლის დესტრუქციული ზემოქმედების დაძლევაც აღნიშნული რეგიონის მცირერიცხოვან ხალხებს დიდ ძალისხმევად უჯდებოდათ და ახლაც უჯდებათ. ჩვენ შორს ვართ იმ იდეოლოგიური აზრისაგან, რომ მსოფლიო მშვიდობის დამყარება ახლო მომავლის პერსპექტივაა და მასზე მუშაობის უწყვეტი პროცესის აუცილებლობიდან გამომდინარე, არ უარვყოფთ იმანუელ კანტის (*Immanuel Kant*) თვალსაზრისსაც, რომ იგი სრულყოფილად შეიძლება არც არასოდეს დამყარდეს, მაგრამ კენიგსბერგელი ბრძენის მსგავსად, ასევე უეჭველად გვესახება რწმენა იმისა, რომ მით უმეტეს უალტერნატივოა ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ეს კი, თითოეული შეგნებული ადამიანისათვის კულტურულ პასუხისმგებლობასა და ცხოვრების საზრისის დეტერმინანტს წარმოადგენს.

შავ და კასპიის ზღვებს შორის არსებული მდებარეობიდან გამომდინარე შესაძლებლობებისა და კონფლიქტებით სავსე ისტორიული გამოცდილების

გათვალისწინება-კეთილგონივრული გამოყენებით, ამ გლობალურ კონტექსტში კავკასიას შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ოდითგანვე წაკიდებული დასავლეთისა და აღმოსავლეთის, გლობალური ჩრდილოეთისა და სამხრეთის მორიგების საქმეში და მოემზადოს, რათა იტვირთოს მათ შორის მედიატორის ფუნქცია.

აღნიშნულ პროცესში საქართველოს, როგორც თავისი რეგიონის გეოკულტურული და გეოპოლიტიკური ცენტრის, როლი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს. რის განსახორციელებლადაც საჭიროა არა მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა, არამედ სამშვიდობო გეზით სვლა და სათანადო მომწიფება; ადეკვატური გარემოსა და პრაქსისის შექმნა; თვითონ ქვეყნის შიგნიდან შესაბამისი ტენდენციების მიზანმიმართული, პრაგმატული, თანმიმდევრული ხელშეწყობა და განვითარება;

XX საუკუნის მეორე ნახევარში მშვიდობის მეცნიერებების დამფუძნებელ ღვაწლმოსილ პატრიარქ, იოჰან გალტუნგთან (Johan Galtung) გასული, 2016 წლის 16 დეკემბერს, ასოციაციის, „მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტი-საქართველო“-ს მიერ ორგანიზებულ საჯარო ლექციასა და პირდაპირ ჩართვაში საუბრისას გამოიკვეთა ამ უკანასკნელის მიერ კავკასიელებისათვის მიცემული რჩევა:

*„თუ გინდათ, მსოფლიოს მოეხმაროთ მშვიდობის დამყარებაში, ჯერ ერთმანეთში იპოვეთ საერთო ენა; გაზარდეთ ურთიერთ შორის მშვიდობიანი და კონსტრუქციული ურთიერთობების გამოცდილება; შეეცადეთ, საკუთარი პრობლემები თვითონ და ერთად მოაგვაროთ“.*

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, პოლიტიკური აზროვნების ძველი და უახლესი ტრადიციების გამოყენებით, ფილოსოფიურად იქნეს გააზრებული ის წანამძღვრები და მექანიზმები, რომელთა ერთობლიობაც გამორჩეულ ნიშად, ორიენტირად და ისტორიულ მისიად შეიძლება იქცეს როგორც საქართველოსათვის, ასევე, ზოგადად, კავკასიისათვის მსოფლიო სამშვიდობო პროცესებში კონსტრუქციული მონაწილეობის მისაღებად.

აღნიშნული მიმართულებით ჩვენი საზოგადოებრივი რესურსების უკეთ აღსაქმელად განვიხილავთ საერთო სიკეთის ცნებას (I); მოვახდენთ ამ უკანასკნელის სხვადასხვა აქტუალური დემოკრატიული მოდელის ჭრილში გააზრებას, თითოეულისათვის დამახასიათებელ პრობლემატიკათა და შესაძლებლობათა გამოკვეთას (II); მშვიდობაზე, როგორც საერთო სიკეთესა და ღირებულებაზე, მახვილის დასმას, რაც არსებითად გვესახება სამშვიდობო კონტექსტში ინდივიდუალური, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და რეგიონალური განვითარების საქმეში (III); საქართველოსა და კავკასიის რეგიონის მშვიდობის ზონად გარდაქმნის მიმართულებებს (IV).

ამავე დროს, ვიყენებ შემთხვევას და მთარგმნელობითი თანადგომის, თუ ტერმინოლოგიური დაზუსტებისათვის მადლობა მინდა გადავუხადო შესანიშნავ გერმანისტსა და ფილოლოგს, კონსტანტინე ბრეგაძეს; ჩემ სიმამრს, ისტორიკოსს, აღმოსავლეთმცოდნესა და იურისტს, თეიმურაზ ჯაფარიძესა და ჩემ მეუღლეს, იურისტსა და იურიდიულ ინგლისურში კომპეტენტურ, მერი ჯაფარიძეს

## 2. საერთო სიკეთე

თავის „პოლიტიკაში“ არისტოტელე საუბრობს სახელმწიფოს უმთავრეს ფუნქციაზე, რომლის მიხედვითაც იგი

*„იქმნება არა იმისათვის, რომ ვიცხოვროთ, არამედ უპირატესად იმისათვის, რომ ვიცხოვროთ ბედნიერად“<sup>2</sup>.*

მოცემული ბედნიერება მოაზრებულია როგორც ინდივიდუალურ, ასევე, საზოგადოებრივ პლანში. იდეალურ ვარიანტში, ეს არის სისტემა, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ მის ცალკეულ ფიზიკურ, თუ იურიდიულ წევრს შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობათა მედიაციისაკენ (როგორც ეს ხდება ლიბერალურ

---

<sup>2</sup> Аристотель - "Политика", Издательство АСТ, Москва, 2002, стр, 106

დემოკრატიაში), არამედ მათ შორის ურთიერთგაგებაზე დამყარებული თანამშრომლობითი ურთიერთობების ხელშეწყობისკენ. ამას კი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საერთო სიკეთის პრაქსისი.

საერთო სიკეთის ტრადიცია, პირველი ჩამოყალიბებული სახით, თავის საწყისს იღებს პლატონური აკადემიის შეგირდის, არისტოტელეს „პოლიტიკიდან“, სადაც მოცემული გვაქვს მშვენიერ ცხოვრებაში მონაწილე ჯგუფებისა და ინდივიდების „საერთო ინტერესი“<sup>3</sup>, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო თომისტურ ტრადიციაში „საერთო სიკეთისა“ (*bonum commune*) და ისლამური სამყაროს „საერთო კეთილდღეობის“ (*მასლაჰა/მასლაჰაჰ*) ცნებებს. აქვე უნდა ხაზი გაესვას ისეთ მნიშვნელოვან დეტალს, როგორცაა ამ არაბულ შესატყვისში არსებული სემიტური სლ/შლ ფუძე, რაც მშვიდობასთანაა პირდაპირკავშირში და რაც ჩვენი კვლევის საკითხებს შორის კავშირის აქცენტირებას ლინგვისტურად კიდევ ერთხელ ამართლებს.

სტაგირელ ფილოსოფოსთან, მმართველობითი რეჟიმების მხრივ, განსხვავებულია საერთო კეთილდღეობის განმკარგველი ხელისუფლების ფორმაც: თუკი მონარქიის შემთხვევაში ერთი ადამიანის ხელისუფლება იღვწის საერთო სიკეთისათვის, არისტოკრატის დროს რჩეულთა მცირე ჯგუფი ახორციელებს იგივე ფუნქციას, ხოლო პოლიტია (*πολιτεία*) ესაა შეძლებული უმრავლესობის მმართველობა უმრავლესობის განვითარებისათვის<sup>4</sup>. ამ უკანასკნელის მიხედვით არისტოტელე უფრო რესპუბლიკურ დემოკრატიულ მოდელს უახლოვდება, ხოლო უმრავლესობის უმცირესობასთან მიმართების საკითხს კი ლიბერალურ დემოკრატიულ მოდელში უარყოფითი კონოტაცია გააჩნია, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

საერთო სიკეთე განსხვავდება კერძო და სოციალური სიკეთის ცნებებისაგან (სადაც მეორე პირად სარგებელზეა ორიენტირებული და ლიბერალურ პოლიტიკურ

---

<sup>3</sup> Аристотель – Ibid, стр, 101

<sup>4</sup> Аристотель – Ibid, стр, 103

თეორიაში წამყვანი ადგილი უჭირავს, ხოლო მესამე მიეკუთვნება საზოგადოების მომსახურების სფეროს და სოციალისტური სახელმწიფო სისტემისათვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს), მაგრამ არათუ არ უპირისპირდება, არამედ განაპირობებს კიდევ მათ განვითარებას. ასევე, აღსანიშნავია, რომ საერთო სიკეთე არ წარმოადგენს კერძო სიკეთეთა უბრალო ჯამს.

იგი შეიძლება იყოს როგორც *მატერიალური* (ინფრასტრუქტურა, განათლების სისტემა, ჰიდროელექტროსადგურები, ჯანდაცვა და სხვა), ასევე *არამატერიალური* (ღირებულებები) სახის<sup>5</sup>.

რადგანაც საზოგადოება არ არის თავისთავადი წარმონაქმნი და რაციონალურ კონსტრუქტს წარმოადგენს, იგივე საერთო სიკეთეზეც აისახება; ეს უკანასკნელი იქმნება საზოგადოების წევრების ერთიანი საქმიანობის საფუძველზე და გარკვეულ ძალისხმევას საჭიროებს. ამიტომ, საერთო სიკეთე ერთმანეთს შორის გაზიარებული სიკეთეა, მასში მონაწილე ყველა წევრის, თუ ჯგუფისათვის სასარგებლო და ერთობით მიღწეული მონაპოვარი. აქედან გამომდინარე, იგი არ შეიძლება იყოს სიკეთე მხოლოდ ერთი ადამიანისათვის, ან თუნდაც უმრავლესობისათვის, არამედ ერთდროულად იგი ყველას კუთვნილებაა და თითოეულისაც.<sup>6</sup>

სხვადასხვა ეპოქაში უზენაესი საერთო სიკეთე არაერთგვაროვან დატვირთვას ატარებდა: ანტიკურ ეპოქაში, მიუხედავ იმისა, რომ პლატონთან არ გვხვდება მოცემული ტერმინი, მისთვის ეს იყო სამართლიანი კანონების მოქმედება, საზოგადოებრივი ჰარმონია, ერთიანობა და ურთიერთთანხმობა<sup>7</sup> (XX საუკუნეში ამ უკანასკნელ მახასიათებელს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს დიდი გერმანელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი, იურგენ ჰაბერმასი (Jurgen Habermas) და

---

<sup>5</sup> Famakinwva, J. O. – The Liberal Common Good, Diametros, N. 12, June, 2007, p. 33

<sup>6</sup> Angandoña, Antonio – The Common Good, IESE Business School, University of Navarra, Working Paper, WP-937, July, 2011, pp. 3-4

<http://www.iese.edu/research/pdfs/di-0937-e.pdf>

<sup>7</sup> პლატონი - სახელმწიფო, თბილისი, ნეკერი, 2003 წ. გვ. 180



გამოიყენებს თავისი დემოკრატიის სათათბირო მოდელისათვის), არისტოტელესთან კი - სათნოება და ბედნიერება. ცენტრალური ადგილი უჭირავს საერთო სიკეთის ცნებას შუა საუკუნეებსა და ქრისტიანულ ტრადიციაში. მისი თომისტური და ნეოთომისტური ვარიაცია წარმოაჩენს ბუნებითი სამართლის მნიშვნელობას, რომლის ფუნდამენტალურ საგანს წარმოადგენს ის, რომ ადამიანი და საზოგადოება სიკეთეს უნდა ახორციელებდეს და ერიდებოდეს უკეთურების ქმნას. აქედან გამომდინარე,

*„ხალხის სამართალი სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების საერთო სიკეთისათვის მოღვაწეთა მიერ კეთილგონივრულად მიღებული დადგენილება“<sup>8</sup>.*

არისტოტელეს მემკვიდრეობაზე დაფუძნებული იგივე ტრადიციის შუასაკუნეობრივად „რედაქტირებული“ ვერსიის მიხედვით, კერძო საკუთრებაც საერთო სიკეთის შემადგენელი და მისთვის დამახასიათებელი ნაწილია, რომელიც საკუთარ თავში ატარებს როგორც პირადი, ასევე, საზოგადო მფლობელობა-გამოყენების ორმაგი ბუნების შესაძლებლობას. შემდგომში სწორედ, მოცემული სოციალური და ქრისტიანული პრინციპების გათვალისწინების შედეგი იყო აშშ პრეზიდენტის, ფრანკლინ რუზველტის (Franklin D. Roosevelt) მიერ 1933-1938 წლებში „ახალი კურსის“ პოლიტიკის გატარება, რომელმაც მაშინდელი ამერიკული საზოგადოების ფართო ფენები მძიმე სოციალური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანა. 1936 წელს, ამერიკელი ქრისტიანი ჟურნალისტი, სტენლი ჰოფლანდ ჰაი (Stanley Hoflund High) წერდა, რომ ეს იყო თანამედროვე ისტორიაში პირველი შემთხვევა, როდესაც მთავრობამ მოახდინა ქრისტეს მიერ მთაზე ნაქადაგები პრინციპებისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მაცხოვრის მიერ კაცობრიობისათვის გაზიარებული ნეტარების მცნებათა იმპლემენტაცია<sup>9</sup>.

---

<sup>8</sup> Lew Daly, In Search of the Common Good: The Catholic Roots of American Liberalism, *Boston Review*, May/June, 2007, pp. 15-16

[https://divinity.uchicago.edu/sites/default/files/imce/pdfs/webforum/092007/common\\_good.pdf](https://divinity.uchicago.edu/sites/default/files/imce/pdfs/webforum/092007/common_good.pdf)

<sup>9</sup> Lew Daly, *Ibid*, p. 3

ვფიქრობთ, რომ საერთო სიკეთის იდეას გააჩნია ის პოტენციალი, რომელსაც ყველა დროში და ყველა ეპოქის მოთხოვნილებასთან შესაბამისობაში მოყვანით შეუძლია თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს პიროვნების, საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის განვითარების საქმეში.

### **3. საერთო სიკეთე და დემოკრატიული მოდელები**

საერთო სიკეთის გაგება და მნიშვნელობა შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა ხასიათის პოლიტიკური წესრიგის ფარგლებში. ზოგ შემთხვევაში მას დაქვემდებარებული მდგომარეობაც უკავია. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

#### *3.1. საერთო სიკეთე და დემოკრატიის ლიბერალური მოდელი*

უთუკი პლატონი საფუძველს უყრის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას, სადაც საზოგადოების უზენაეს პოლიტიკურ ღირებულებას სამართლიანობა წარმოადგენს, დემოკრატიის ლიბერალურ მოდელში მის ადგილს იკავებენ უფლებები, რომლებიც ხორციელდებიან ჰობსიანური უსაფრთხოების პირობებში წარმომადგენლობითი მანდატით აღჭურვილი, საზოგადოებრივი წესრიგის გარანტორი და მარეგულირებელი სახელმწიფოს მიერ. აღნიშნულ სისტემაში, ასევე, ძირითად მნიშვნელს წარმოადგენს ინდივიდუალიზაცია და პირადი თავისუფლება, რომელიც არაა უსაზღვრო და მოწესრიგებულია კანონის (*Nomos*) უზენაესობაზე დაყრდნობით, რაც ამცირებს, მაგრამ არ აქრობს კონფლიქტურობას ცხოვრების სხვადასხვა წესს შორის.

სამოქალაქო საზოგადოება და სამოქალაქო ურთიერთობები ლიბერალურ პოლიტიკურ თეორიაში საბაზრო პრინციპებზეა დამყარებული. ამიტომ, ინდივიდი ეკონომიკური ხასიათის სუბიექტია, ვისაც გააჩნია ავტონომიური ხელშეუხებლობა, პირადი ღირებულებები და უფლებები. ეს კი პიროვნული და დაჯგუფებების დონეზე იწვევს საკუთარი სივრცის შექმნასა და შენარჩუნებას, რის გამოც ლიბერალური

საზოგადოების ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპია მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტულობა. თუმცა, უკიდურესი ინდივიდუალიზაციის შედეგად შეიძლება მივიღოთ ატომიზირებული სოციუმი.

ბაზარი და სახელმწიფო ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი განზომილებაა. თუკი პირველი კეთილდღეობის შექმნის სფეროა, მეორე სოლიდარულობისა და გადანაწილების ფუნქციის მატარებელია. ამიტომ, შესაძლებელია მათ შორის დამაბულობაც წარმოიქმნას<sup>10</sup>.

რადგანაც ანტიკური და კერძოდ, ძველბერძნული პოლისების პირდაპირი დემოკრატიის პერიოდისაგან განსხვავებით, უკანასკნელ საუკუნეებში დედამიწაზე გაზრდილია მოსახლეობის რიცხვი და გამონაკლისების გარდა, დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული მრავალმილიონიან ქვეყნებში დემოკრატიის ელინური წესით გატარება, წარმომადგენლობითი პრინციპით ხდება მთავრობის არჩევა, რომელიც გამჭვირვალედ უნდა ასრულებდეს ამომრჩევლის დაკვეთასა და ინტერესებს და რომლის საქმიანობაც, თავის მხრივ, განიცდის ზედამხედველობას და მოწმდება ამ უკანასკნელის მიერ. პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი მდებარეობს არა სამოქალაქო საზოგადოებაში, არამედ მთავრობაში.

ზემოთაღნიშნულ საერთო სურათში მოქალაქეთა უფლებების დაცვა უპირატესია, ვიდრე საერთო, თუ კერძო სიკეთე და მოცემული მოდუსი ლიბერალიზმის უზენაეს მიზანს წარმოადგენს. მასში ინდივიდები საკუთარი შეხედულებებისამებრ ირჩევენ, თუ რა არის მათთვის სასარგებლო და კარგი.

საბოლოო ჯამში, დემოკრატიის ლიბერალური მოდელის ფუნდამენტალურ ღირებულებებზე დაფუძნებულ საერთო სიკეთეთა (უფლებები და ინდივიდუალური თავისუფლება, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, ტოლერანტულობა<sup>11</sup>) მოქმედების არეალი შეზღუდულია, რისი გამოსწორების მცდელობაცაა უკანასკნელი

---

<sup>10</sup> Angandoña, Antonio – *Ibid*, p. 6

<sup>11</sup> Raeder C. Linda - Liberalism and the Common Good, *The Independent Review*, v.II, n. 4, Spring, 1998, pp. 521

ათწლეულების განმავლობაში კომუნიტარიანელებსა და ლიბერალებს შორის გამართულ დებატებში ამ უკანასკნელთა თეორეტიკოსების ნაწილის მიერ არაპოლიტიკურ სფეროში სათნოებათათვის (*virtue*) მეტი მნიშვნელობის მინიჭება, რაც მათი აზრით, ხელს უწყობს ლიბერალური საერთო სიკეთის მიღწევას<sup>12</sup>.

### 3.2. საერთო სიკეთე და დემოკრატიის რესპუბლიკური მოდელი.

არისტოტელური ტრადიციით საერთო სიკეთე ყოველთვის უპირატესია, ვიდრე კერძო სიკეთე. ამ თვალსაზრისით მოქმედებს დემოკრატიის რესპუბლიკური მოდელიც. ამიტომ, ლიბერალური თეორიისაგან განსხვავებით, პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი საზოგადოებაშია განლაგებული, რომელიც სახელმწიფოს უმთავრესი პოლიტიკური სუბიექტია, მაგრამ ზემოთ განხილული დემოკრატიული მოდელის მსგავსად, საზოგადოება აქაც დაპირისპირებულ პოზიციაში იმყოფება ბიუროკრატიასთან. მართალია, ეს არ არის გამოწვეული ეკონომიკური ფაქტორებით, არამედ იმ მორალური იმპერატივების განორციელების გარანტირებისათვის, რომ მთავრობამ არ გადააჭარბოს თავის უფლებამოსილებებს და ვერ შეძლოს რესპუბლიკური სოციუმისათვის დამახასიათებელი თვითმმართველობითი და ეთიკური სივრცის შეზღუდვა, რაც ქმედითი მექანიზმია პოლიტიკური სფეროს მხრიდან ავტორიტარიზმსა და ტოტალიტარიზმში გადავარდნის უფრო მაღალი რისკის თავიდან ასაცილებლად. საზოგადოება თვითონ განსაზღვრავს საკუთარ დამოკიდებულებას საერთო სიკეთესთან მიმართებით და თვლის, რომ ეს მისი წევრების პრეროგატივაა და არა სახელმწიფოსი. ამ უკანასკნელმა, უბრალოდ, ხელი უნდა შეუწყოს მოცემულ პროცესს, ვიდრე დაკავდეს მისი დადგენითა და იძულებით<sup>13</sup>.

---

<sup>12</sup> Downing, Lyle A., Thigpen, Robert B. - Virtue and the Common Good in Liberal Theory, The Journal of Politics, Vol. 55, No. 4 (Nov., 1993), p. 1058

[http://www.jstor.org/stable/2131947?loggedin=true&seq=1#page\\_scan\\_tab\\_contents](http://www.jstor.org/stable/2131947?loggedin=true&seq=1#page_scan_tab_contents)

<sup>13</sup> Angandoña, Antonio – *Ibid*, pp. 6-7

რესპუბლიკანიზმის ღირებულებებს შორის ცენტრალური ადგილი უკავია სამოქალაქო სიქველეს (*civic virtue*). ასევე, ლიბერალიზმში თუ უფლებებს შეუძლიათ ღირებულებების შეცვლა, აქ თვითონ ინდივიდთა უფლებებია შეზღუდული ღირებულებებით, რომლებიც არეგულირებენ პიროვნული თავისუფლების დამოკიდებულებას საერთო სიკეთისადმი<sup>14</sup>. შესაბამისად, ლიბერალი მოქალაქის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება კანონის მოქმედების სფერო, ხოლო კომუნიტარიანული წყობის მოქალაქე თავისუფალია კანონის მეშვეობით.

მოცემული მოდელის კომუნიტარიანული ვერსია არ უარყოფს ლიბერალურ პრინციპებს - საზოგადოების სუბიექტების ინტერესებსა და სხვადასხვა ღირებულების განსხვავებულ თანაარსებობას, - მაგრამ მისთვის ისინი კი არაა უმთავრესი, არამედ კომუნიკაციური პროცესები, რომლებიც საზოგადოებაში გარკვეულ ეთიკურ და პოლიტიკურ კლიმატს ქმნიან, გავლენას ახდენენ მოქალაქეთა შეხედულებების ჩამოყალიბებაზე და საერთო ხედვის შემუშავებაზე.

რესპუბლიკური წყობის სოციუმში უფრო მაღალია თვითმმართველობის დონე, ხოლო არისტოტელესეული ტრადიციის მსგავსად და ინდივიდუალიზაციის მაგივრად, მოქალაქის ზნეობრივი და პოლიტიკური პიროვნება ყალიბდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით. აქ ინდივიდი არ წარმოადგენს მთელის მექანიკურ ნაწილს, არამედ იზრდება მთელის განვითარებაში თავისი წვლილის შეტანით. ამიტომ, დემოკრატიის რესპუბლიკური მოდელში თვითონ საზოგადოებრიობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს საერთო სიკეთეს, სადაც ამ უკანასკნელში ჩართულობა საშუალებაა პირადი სიკეთის მისაღწევად<sup>15</sup>.

ლიბერალიზმთან შედარებით, აღნიშნული დემოკრატიული მოდელი უპირატესობას საზოგადოს ანიჭებს, ვიდრე კერძოს; პოლიტიკურს, ვიდრე ეკონომიკურს; კომუნიკაციას, ვიდრე საბაზრო ურთიერთობებს. ამიტომ, მასში

---

<sup>14</sup> Famakinwva, J. O. – *Ibid*, p. 30

<sup>15</sup> Angandoña, Antonio – *Ibid*, pp. 4, 6.

საზოგადოებრივი მოღვაწეობა უფრო რელევანტურია, ვიდრე ეკონომიკური ხასიათისა და პირად სარგებელზე ორიენტირებული შრომა.

დიალოგიც, ლიბერალური თეორიის დისკუსიისაგან განსხვავებით, რესპუბლიკურ საზოგადოებაში მიმართულია საკუთარი იდენტობის განსაზღვრისათვის, ერთიანი ხედვის მისაღწევად და მოქალაქეთა პოლიტიკური ნების გამოსაქედად.

### *3.3. საერთო სიკეთე და დემოკრატიის სათათბირო მოდელი.*

ანტიჰობსიანური „*veritas non auctoritas facit legem*“-ით („ჭეშმარიტება, არა ხელისუფლება, ქმნის კანონებს“) ჰაბერმასი ცვლის ძალაუფლების ლიბერალურ პარადიგმას და სიმართლეზე, გულწრფელობასა და სინამდვილეზე დამყარებული, იურიდიულად ინსტიტუციონალიზებული დისკუსიებით ჭეშმარიტებასთან ერთობლივად მიახლოებას ცენტრალურ ადგილს ანიჭებს პოლიტიკური სფეროს ლეგიტიმაციის საკითხთან დაკავშირებით, რის გამოძახილსაც ისევ პლატონთან ვხვდებით, თავის „კანონებში“<sup>16</sup>, სადაც საუბარია ორმხრივი სრული ურთიერთგაგებისა და შეთანხმების ხელშემწყობი კანონების მიღებაზე.

სათათბირო დემოკრატიაში საჯარო სფერო ის განზომილებაა, სადაც ხალხი ერთმანეთს თავისუფლად ხვდება, ასევე თავისუფლად, რაიმე ზეწოლის გარეშე განიხილავს საკითხებს, ახდენს პრობლემების დაფიქსირებას, ეძებს მათი მოგვარების გზებს და შედეგად კი, თვითმიზნად არ ისახავს საკუთარი წარმომადგენელი ჯგუფების მემწეობით ხელისუფლებაში მოსვლას, ან პოლიტიკური სფეროს იძულებას, შეასრულებინოს თავისი შეკვეთა, არამედ საკუთარი დისკურსითა და პროცედურული გზით გავლენას ახდენს პოლიტიკურ ქმედებებზე, რომ შედეგად ამ უკანასკნელმა შექმნას პირობები შეთანხმებისა და შესაბამისი მოტივაციისათვის.

---

<sup>16</sup> Platone – Le leggi, BUR, Milano, 2005, 626, p. 91

სათათბირო პარადიგმაში კომუნიკაციური ძალაუფლება წარმოიქმნება „კულტურულად მობილიზებული საზოგადოების“ წიაღში, რომელიც მოცემულ მოდელის ფარგლებში წარმოადგენს ლეგალური ხასიათის კომუნას<sup>17</sup> და საიდანაც ჰაბერმასს გამოჰყავს აღნიშნული დემოკრატიული მოდელის პროცედურულობა. გერმანელი ფილოსოფოსისთვის თვითონ საზოგადოებაა რაციონალური დისკურსი, რაც მისი დელიბერაციული მოდელის ერთ-ერთ უმთავრეს მიგნებას შეადგენს, ხოლო ამ დისკურსის ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბებულია სამოქალაქო საზოგადოების მიერ და ეს უკანასკნელი ერთგვარი შუალედური ფუნქციის მატარებელია პოლიტიკურ და საჯარო სფეროებს შორის<sup>18</sup>. ასევე, ჰაბერმასს არ გააჩნია იმის ილუზია და პრეტენზია, აღმოფხვრას განსხვავება საჯარო და პოლიტიკურ სფეროებს შორის, არამედ დელიბერაციული გზით დემოკრატიული პროცესების გაძლიერებაზე დაყრდნობით ცდილობს ამ ორ განზომილებას შორის კიდევ უფრო კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის თეორიული საფუძვლების გამოკვეთას<sup>19</sup>.

ჰაბერმასიანული დისკურსის სათათბირო პოზიციიდან დანახული პოლიტიკური კომუნიკაცია, ანიჭებს რა თანაბარ მნიშვნელობას პიროვნულობასა და საზოგადოებრიობას:

*„...განსაკურებითაა დამოკიდებული სიცოცხლის სამყაროს (Lebenswelt) რესურსებზე - თავისუფალ და ღია პოლიტიკურ კულტურაზე და განათლებულ პოლიტიკურ სოციალიზაციაზე და უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებელი გაერთიანებების ინიციატივებზე“<sup>20</sup>.*

---

<sup>17</sup> Habermas, Jurgen – The Inclusion of the Other, The MIT Press, Cambridge, Massachusetts, 1998, p. 251

<sup>18</sup> Privitera, Walter – Sfera Pubblica e democratizzazione, Editori Laterza, Roma-Bari, 2001. p. 86

<sup>19</sup> Lubenow, J. A. – Public Sphere and Deliberative Democracy in Jurgen Habermas: Theoretical Model and Critical Discourses, American Journal of Sociological Research, 2012, 2 (4), p. 61

<http://article.sapub.org/pdf/10.5923.j.sociology.20120204.02.pdf>

<sup>20</sup> “...are especially dependent on the resources of the lifeworld-on a free and open political culture and an enlightened political socialization, and above all on the initiatives of opinion-shaping associations.” (თარგმანი - კონსტანტინე ვეკუასი), Habermas, Jurgen – *Ibid*, p. 252

ამ სისტემის კონტექსტში საერთო სიკეთე მედიატორული, ინკლუზიური და კომუნიკაციური ხასიათისაა, რითაც იკვეთება მიმართულება იმ დაუძლეველი სიმაღლეების გადასალახად, რომლებიც ვერ დალაშქრა დემოკრატიის ვერც ლიბერალურმა და ვერც რესპუბლიკურმა მოდელმა.

ასე რომ, ჰაბერმასის მიერ განვითარებული დემოკრატიის დელიბერაციული მოდელი, შეიძლება ითქვას, მაკავშირებელი და შემავსებელი რგოლია ლიბერალურ და რესპუბლიკურ პოლიტიკურ პრინციპებს შორის, რადგან თუკი პირველი ეკონომიკური ხასიათის პარადიგმაა, ხოლო მეორე - ეთიკური და კომუნიკაციური, გერმანელი ფილოსოფოსის მიერ შემუშავებული სისტემა პროცედურულია და ლეგალური ყაიდის ინსტიტუციონალიზაციის საფუძველზე მოქმედ საჯარო სფეროს ფორმალურ (საკანონმდებლო ორგანოები) და არაფორმალურ (საჯარო თავშეყრის ადგილები) ნაწილში მიმდინარე განხილვებით ორიენტირებულია დემოკრატიის სუბიექტებს შორის გაგების დამყარებისა და „უცხოს“ ინკლუზიისკენ.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლიბერალური დემოკრატიული მოდელი არსებითად უფლებებსა და ინდივიდუალიზაციის უპირატესობაზე დამყარებული ეკონომიკური ხასიათის მოდელია, რესპუბლიკური დემოკრატიული მოდელი - პასუხისმგებლობასა და საზოგადოებრიობაზე დაფუძნებული ეთიკური პარადიგმა, ხოლო ჰაბერმასის სათათბირო დემოკრატიული სისტემა კი მცდელობაა, მოახდინოს მათი მორიგება, რაც შესაბამისად აისახება აღნიშნული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მსოფლმხედველობების დამოკიდებულებაზე საერთო სიკეთესთან მიმართებით.

#### **4. მშვიდობა, როგორც სერთო სიკეთე**

მშვიდობა და უსაფრთხოება განსხვავებული ცნებებია. მაშინ, როდესაც პირველი არქაული ეპოქიდანვე მოიცავს საკუთარ თავში ზნეობრივი, სულიერი,



მატერიალური კეთილდღეობისა და მათი განვითარების პოსტულატებს, მეორე წარმოადგენს პიროვნების, საზოგადოების, ინსტიტუციების, სახელმწიფოსა, თუ კაცობრიობის საფრთხის, ძალადობისა და შიშისაგან დაცულ მდგომარეობას<sup>21</sup>.

მშვიდობის გარეშე არ არსებობს განვითარება, ხოლო ამ უკანასკნელის სულიერი ხასიათი ავლენს მშვიდობის ყველაზე ღრმა საფუძვლების რაობას. ამასთან დაკავშირებით, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი და ფსიქოლოგი, დიმიტრი უზნაძე შესანიშნავ განმარტებას იძლევა თავის „ომის ფილოსოფიაში“:

*"უეჭველად არსებობს მსოფლიოში აქტიური პრინციპი, რომელიც აღჭურვილია ყველა იმ თვისებით, განვითარების შესაძლებლობისათვის რომ აუცილებელი პირობაა. ეს ის აქტიური მომენტი, რომელიც ჩვენთვის სულიერობის სახელით არის ცნობილი. სულმა იგივეობა და უცვლელობა არ იცის; პირიქით, მისი მდგომარეობის ყოველი ახალი მომენტი ახალი შინაარსის შექმნაა, რომელსაც იგი ძველს უმატებს. და ეს საკვირველი თვისება სულისა ყველასათვის ნათლად მეხსიერების ნიჭში ვლინდება. სულის ამოქმედება თავისთავად, ავტონომიურად ხდება. იგი მსოფლიო არსებობის აქტიური მომენტი, რითაც ძირიანად განსხვავდება პასიური მსოფლიოს უმოქმედობისაგან, რომელიც უძლურია თავისთავად რაიმე მოქმედება გამოიწვიოს. ამიტომ მხოლოდ მას შეუძლია შემოქმედების პრინციპი იყოს. მაგრამ სული იმავე დროს, როგორც უსაზღვრო აქტივობა, დაუსრულებელი სწრაფვით ხასიათდება. მაშასადამე, იგი აბსოლუტური მომენტი მსოფლიოში, მაგრამ აბსოლუტური მისწრაფებით, შესაძლებლობით. ეს გარემოება კიდევ უფრო ნათლად ამტკიცებს, რომ განვითარება, რომელიც, როგორც დავინახეთ,*

---

<sup>21</sup> Peace and Security, Social Science, Contemporary India: Issues and Goals 209, 2015, p. 277  
<http://www.nios.ac.in/media/documents/SecSocSciCour/English/Lesson-27.pdf>

*დაუსრულებლობას გულისხმობს, შეიძლება მხოლოდ სულზე იყოს დამოკიდებული“<sup>22</sup>.*

მაშასადამე, მშვიდობა და არისტოტელესეული სახელმწიფოებრივი ბედნიერება ძირეულ წინაპირობად გვევლინება სწორედ უზნაძიესული სულიერი განვითარებისათვის და აქედან გამომდინარე, არსობრივად, სულიერების პრინციპის გარეშე ვერ დამყარდება ისეთი პოლიტიკური წესრიგი, რომელშიც შესაძლებელი იქნება საერთო სიკეთის პოტენციალის სრული განვითარება.

მშვიდობის მეცნიერებებში, მათი დამფუძნებლის, იოჰან გალტუნგის მიერ უკვე კარგა ხანია, რაც გამოკვეთილია განსხვავება ნეგატიურ და პოზიტიურ მშვიდობას შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჰობსამდე და გალტუნგამდე ათასწლეულებით ადრე, ჯერ კიდევ პლატონთან ვხვდებით ნეგატიური მშვიდობის შესახებ მინიშნებას:

*“ის, რასაც ადამიანთა უმრავლესობა „მშვიდობას“ არქმევს, სხვა არაფერია, თუ არა ცარიელი სახელი: ბუნების მიხედვით, სინამდვილეში, ყველა ქალაქს შორის უწყვეტად მიმდინარეობს გამოუცხადებელი ომი“<sup>23</sup>.*

თუკი მშვიდობის მეცნიერებების პრიზმიდან განვიხილავთ თითოეულ დემოკრატიულ პარადიგმას და მათში საერთო სიკეთის როლსა, თუ მდგომარეობას, იკვეთება შემდეგი სურათი:

ა) დემოკრატიის ლიბერალური მოდელი დგას რეგულირებული კონფლიქტური ურთიერთობების მქონე სოციუმზე, სადაც განსხვავებულ და რიგ შემთხვევებში, ურთერთსაწინააღმდეგო ინტერესთა შორის მედიაცია ხდება სახელმწიფოს მიერ. გამარჯვებული უმრავლესობის შემთხვევაში მისი პროგრამა შეიძლება მიუღებელი იყოს დამარცხებული უმცირესობისთვის. ამ უკანასკნელთ შეუძლიათ განაცხადონ,

---

<sup>22</sup> დიმიტრი უზნაძე - ომის ფილოსოფია, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, III წიგნი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ, 2015, გვ. 224-225

<sup>23</sup> “Ciò che la maggior parte degli uomini chiama °pace°, non è altro, che un nome vuoto: secondo natura, in effetti, fra tutte le città intercorre senza pause una guerra non dichirata” (თარგმანი - კონსტანტინე ვეკუასი), Platone – *Ibid*, pp. 84-85

რომ ხელისუფლებაში მოსულთა ხედვა შეიძლება არ ეთანხმებოდეს მათ პროგრამას საერთო სიკეთის თაობაზე და რომ გამარჯვებულთა ვერსია შეიძლება არღვევდეს მათ პრინციპებს. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ ლიბერალური *Rights* (უფლებები) ყველას ვერ მისცემს საშუალებას, მთავრობის მოქმედებებმა თითოეულს თანაბრად მოუტანოს სარგებლობა. ამიტომ, ხელისუფლებაში მოსულთა კურსი ოპოზიციურ პროგრამაზე უფრო მეტად ესადაგება უმრავლესობისათვის, მაგრამ არა ყველასთვის სარგებლის მინიჭების იდეას<sup>24</sup>. ამ შემთხვევაში, წარმომადგენლობით დონეზე, ყველასთვის ღია საჯარო სფეროს ასპარეზზე მოქმედებაში შემოდის დიალოგი, როგორც კონსენსუსის რაციონალური საშუალება, მაგრამ მაშინაც, ლიბერალურ მოდელში პოლიტიკური დისკუსიის მიზანი საერთო შეთანხმების მიღწევა კი არაა, არამედ იმ ნორმატიული ფარგლების, პოზიციებისა და ინტერესთა გამოკვეთა, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება დებატებისათვის ხელისშემშლელი უხერხული საკითხების გვერდზე გადადება და კეთილგონივრული კომპრომისის მიღწევა<sup>25</sup>.

აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ლიბერალური პოლიტიკური თეორიის სუბიექტს წარმოადგენს ნეგატიური მშვიდობის პრინციპებით მოქმედი საზოგადოება და რომ საერთო სიკეთე არ არის სრულად განვითარებული დემოკრატიის მოცემულ სისტემაში.

ბ) დემოკრატიის რესპუბლიკური მოდელი ერთგვარი გარდამავალი ეტაპია ლიბერალურიდან დისკურსული დემოკრატიისაკენ. იგი უფროა ორიენტირებული „საერთო სიკეთის პოლიტიკისკენ“, ვიდრე ის პოლიტიკური კულტურა, სადაც დომინირებს „უფლებების პოლიტიკის“ პრიმატი<sup>26</sup>. ამიტომ, ამ მოდელს საზოგადოების საერთო სიკეთეში მონაწილეობის გაცილებით უფრო მეტი პოტენციალი გააჩნია წინანდელთან შედარებით. მართალია, რესპუბლიკური

---

<sup>24</sup> Downing, Lyle A., Thigpen, Robert B. – *Ibid*, pp. 1052-1053

<sup>25</sup> Privitera, Walter – *Ibid*, p. 61

<sup>26</sup> Sandel, Michael, *The Procedural Republic*, Political Theory, 1984, 12:91-112

სოციუმი თავის წიაღში მიესწრაფვის ერთიანობასა და კონფლიქტური ტენდენციების დაძლევას (რისთვისაც იგი პოსტკონფლიქტურ საზოგადოებადაც შეიძლება მივიჩნიოთ), მაგრამ საკუთარი იდენტობისა და ზნეობრივი სივრცის შენარჩუნების მიზნით დაპირისპირებაში იმყოფება დომინანტური პოზიციების დაკავების მსურველ ბიუროკრატიასთან.

გ) ჰაბერმასის დემოკრატიის სათათბირო მოდელი არის ლიბერალურ და რესპუბლიკურ მსოფლმხედველობებს შორის განსხვავებებისა და შეუთანხმებლობების კრიტიკული რევიზია და მათ შორის წონასწორობის ჩამოყალიბების ეპისტემოლოგიური და ჰერმენევტიკული ინიციატივა. იგი ყველაზე მეტადაა მიახლოებული პოზიტიური მშვიდობის პრინციპებზე დამყარებულ პოლიტიკურ სისტემას, რომლის ფარგლებშიც სამოქალაქო, საჯარო და პოლიტიკური სფეროები ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან წინა ორი დემოკრატიული მოდელის მსგავსად და სხვადასხვა ნაპირებზე კი არ რჩებიან საკუთარ საქმიანობაზე კონცენტრირებულები, არამედ ერთმანეთს ავსებენ და ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული კომუნიკაციური ქმედებით მიმართული არიან ურთიერთშორის კონფლიქტების აღმოფხვრისაკენ და მხარეთათვის სამართლიანი და კეთილგონივრული გადაწყვეტილების მისაღები „იდეალური დელიბერაციული პროცედურის“<sup>27</sup> წარმოება-განვითარებისაკენ. ასევე, ჰაბერმასი ხედავს თანამედროვე საზოგადოების სისუსტეებს და მათი გამოსწორების საშუალებად გაგებასა და შეთანხმებაზე ორიენტირებას მიიჩნევს, რისი განსახიერებაცაა მისი სათათბირო დემოკრატიის პარადიგმა<sup>28</sup>.

ამ კონტექსტში მშვიდობა, როგორც საერთო სიკეთე, თვითონ წარმოადგენს სახელმძღვანელო ღირებულებას, პრინციპსა და პიროვნული, საზოგადოებრივი,

---

<sup>27</sup> Habermas, Jurgen – *Ibid*, p. 246

<sup>28</sup> Shahramnia, A. M. – Explanation of Deliberative Democracy in Philosophical Thoughts of Jurgen Habermas, African Journal of Political Science and International Relations Vol. 5(5), 2011, p. 259  
<http://www.academicjournals.org/journal/AJPSIR/article-full-text-pdf/F074FDF40660>

სახელმწიფო განვითარებისა, თუ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების საფუძველს.

## 5. მშვიდობის ზონა, როგორც ნეიტრალიტეტის ალტერნატივა.

პოზიტიური მშვიდობის, როგორც საერთო სიკეთის, ზოგადი თეორიული საფუძვლების დადგენის შემდეგ, გადავინაცვლოთ მისი შესაძლებელი გამოყენების პრაგმატულ სფეროში, სადაც ერთის მხრივ, სათათბირო დემოკრატიის პოსტულატების გამოყენებით შესაძლებელია საზოგადოებრივი აზრის მომწიფების, მისი პოლიტიკურ სფეროზე ზეგავლენის, საჯარო და პოლიტიკური განზომილებების კოორდინირებული თანამშრომლობისა და მათი ერთიანი მოქმედების საფუძველზე ქვეყნისა და რეგიონის სამშვიდობო ზონად ტრანსფორმაციის სამური საქმიანობის წამოწყება.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შეტანილია და ჯერაც დამუშავების ქვეშ იმყოფება კანონ-პროექტი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“, რომლის მე-4 მუხლის ვ) პუნქტში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებად მშვიდობაა განსაზღვრული<sup>29</sup>.

ინდოეთის კონსტიტუციის მე-4 ნაწილის - სახელმწიფო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების (*Directive Principles of State Policy*) ბოლო, 51-ე მუხლში დაფიქსირებულია, რომ

„ქვეყნის მისწრაფება იქნება: ა) ხელი შეუწყოს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას...“<sup>30</sup>.

<sup>29</sup> <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/tavdacvisa-da-ushishroebis-komiteti-144/kanonproeqtebi/saqartvelos-kanoni-erovnuli-usaftxoebis-politikis-dagegmvisa-da-koordinaciis-wesis-shesaxeb.page>

<sup>30</sup> <http://lawmin.nic.in/olwing/coi/coi-english/coi-indexenglish.htm>

რაც სამაგალითო პრეცედენტია და სასურველია, რომ საქართველომაც წინ წაიწიოს არა მხოლოდ მოცემული პრინციპის კონსტიტუციაში ჩაწერის საქმეში, არამედ უფრო ქმედითი ნაბიჯების გადასადგმელად. კერძოდ: იმისათვის, რომ აღნიშნული ინიციატივა უფრო კომპლექსურ და სერიოზულ რეალობაში გადაიზარდოს, საჭიროა გამოყენებულ იქნეს ქვეყანაში არსებული ყველა სამშვიდობოდ ხელსაყრელი რესურსი, მოხდეს საქართველოსთვის საინტერესო და მის რეალობასთან ახლოს მყოფ ზემოთნახსენებ საკითხებთან დაკავშირებული პირდაპირი, თუ მომიჯნავე გამოცდილებების გათვალისწინება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1948 წელს, ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ფინეთი უზრუნველყოფდა იმას, რომ თავისი ქვეყნის ტერიტორიის გავლით დასავლეთის წამყვანი მოკავშირე ქვეყნებისათვის არ მიეცა ბოლშევიკურ იმპერიაზე თავდასხმის შესაძლებლობა, ხოლო საკუთრივ საბჭოთა კავშირის მხრიდან ფორმალურად აღწევდა მეტ პოლიტიკურ თავისუფლებას. მიუხედავად ოფიციალური მიუმხრობლობისა, ფინეთს მაინც ჰქონდა საიდუმლო კავშირები გამეზობლებულ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან, რომელსაც ასევე საიდუმლოდ გაურიგდა, რომ არც საბჭოთა კავშირს გაატარებდა თავის ტერიტორიაზე ნატოზე თავდასხმის განსახორციელებლად. აღნიშნული დამოკიდებულება ათწლეულების განმავლობაში შეადგენდა ამ სკანდინავიური ქვეყნის პოლიტიკური კურსს, რამაც მას საკუთარი თვითმყოფადობისა და სტაბილური განვითარების გარანტია მისცა. რა თქმა უნდა, ეს პროცესი თავისით არ მოსულა, არამედ ის რთული, მაგრამ მაინც ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების, ქვეყნის შიგნიდან ფინელი ხალხის თავგანწირული ბრძოლისა და კეთილგონივრული ნაბიჯების თანხვედრის შედეგი იყო. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენთვის ნეიტრალიტეტსა და მიუმხრობლობაზე უფრო მეტად, ქვეყნის ინტერესების შესაბამისად სასარგებლო ფაქტორების ეფექტური გამოყენების, დროის მაჯისცემისათვის ალღოს სწორად აღებისა და ლავირების პრეცედენტია, რაც ერთ-

ერთი წინაპირობა შეიძლება იყოს საქართველოსა და კავკასიისათვის სამშვიდობო ტრანსფორმაციის გარანტირების შემდეგ ეტაპზე გადასვლისათვის.

II-III ათასწლეულების მიჯნაზე მართალია, ერთის მხრივ, ორი მსოფლიო ომის გადამტანმა კაცობრიობამ კი შეიმუშავა მშვიდობის მეცნიერებებისა თეორიული და სამშვიდობო გამოცდილების საკმაოდ სოლიდური ტრადიციის საფუძვლები, მაგრამ მეორეს მხრივ, დედამიწის სხვადასხვა რაიონში იმდენი განსხვავებული სიმძლავრის ლოკალური, რეგიონალური და გლობალური ეფექტის მქონე ომი მძვინვარებს, რომ საჭიროა კიდევ უფრო მეტი ყურადღების, კეთილგონიერებისა და ძალისხმევის გამოჩენა უარესის თავიდან ასაცილებლად.

დღესდღეობით უკვე მოძველებულია გასული საუკუნის მეორე ნახევარში პოპულარული ნეიტრალიტეტის იდეა, რომელიც ფაქტიურად, ოფიციალური ნეიტრალიტეტის მქონე ქვეყნების უმრავლესობისთვისაც კი რეალობას აცდენილი და მიუღწეველია. ამიტომ, უფრო ქმედით და ინოვაციურ ხედვად მიგვაჩნია მშვიდობის ზონების ისეთი კომპლექსური სტრუქტურის დამკვიდრება, რომელიც სრულიად ახლებური მიდგომაა ქვეყნის თავდაცვისა და განვითარების გააზრების საქმეში და რაც ამავე დროს, ერთგვარი საერთაშორისო სისტემის ნაწილსაც წარმოადგენს.

2005 წელს, განგონის პროვინციაში სიტყვით გამოვიდა იოჰან გალტუნგი ორ კორეას შორის 250 კილომეტრ სიგრძეზე გადაჭიმული დემილიტარიზებული ზონის მშვიდობის ზონად ქცევის თაობაზე. ეს იყო ისტორიული კორეის მოცემული ნაწილის უარყოფითი მშვიდობიდან დადებით მშვიდობაზე თანმიმდევრული გადასვლის საკონსულტაციო პროგრამა, სადაც „სოციოლოგიის პიკასოდ“ წოდებული მხცოვანი მოღვაწე რამდენიმე ცენტრალურ პუნქტს გამოყოფდა საამისოდ. ესენია მშვიდობის ზონის:

- ერთობლივი ადმინისტრირება და პატრულირება წესრიგის შენარჩუნების მიზნით;

- ორივე კორეიდან და სხვა ქვეყნებიდან ახალგაზრდობის შეხვედრის ადგილად ქცევა;
- ეკოლოგიურ ზონად გადაქცევა;
- თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გარდაქმნა ერთობლივი წარმოებისათვის;
- საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო კვანძად ქცევა;
- ინტერნაციონალიზაცია გაეროს ეგიდით;

გალტუნგის განცხადებით, მშვიდობის ზონა არაა მხოლოდ სპეციფიკური გეოგრაფიული არეალი, არამედ იგი შეიძლება იყოს ერთი პატარა პირიც კი, რომელიც ცდილობს გააფართოვოს თავისი მშვიდობიანი მოქმედების საზღვრები.

საქართველოსა და კავკასიის რეგიონისათვის საგულისხმო შეიძლება იყოს მსგავსი პრეცედენტებისათვის ყურადღების მიქცევა, რათა ზემოთ ნახსენები პუნქტების მსგავს დებულებებზე დაყრდნობით, ქვეყანა იქცეს არა ნეიტრალურ (რაც მიმდინარე გეოპოლიტიკური მდგომარებიდან გამომდინარე ფრიად უსარგებლო და ზიანის მომტანიც კი შეიძლება იყოს ისტორიის ამ ეტაპზე), ან ბუფერულ ზონად, არამედ მშვიდობის ზონად, სადაც განუხრელად განხორციელდება თანამშრომლობისა და მშვიდობის ეკონომიკის პრინციპები. ცოტა უფრო ადრე, 1998 წლიდან, იოჰან გალტუნგის მიერ, მისი საქართველოში რამდენიმე ვიზიტის შედეგად, გამოითქვა იდეა, რომ აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს შორის სასაზღვრო პერიმეტრზე გამოყოფილიყო ტერიტორია, რომელიც სამივე სახელმწიფოს ნაწილს მოიცავდა და რომელიც გახდებოდა მშვიდობის ზონა თავისუფალი ეკონომიკური ზონითა და საერთო პროექტებით. ჩვენი იდეაა, რომ მოხდეს იგივე აზრის მთელ ქვეყანასა და რეგიონზე ეტაპობრივი გავრცელება.

აღნიშნული პროცესისათვის მდგრადი ხასიათის მისანიჭებლად საჭიროა ადეკვატური და სტრატეგიული ღონისძიებების გატარება არა მხოლოდ გარედან თანადგომით (საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით), არამედ ქვეყნისა და რეგიონის შიგნიდან საჭირო რესურსების მობილიზაციით, რაშიც ერთ-ერთი ყველაზე



მნიშვნელოვანი ნიშაა მშვიდობის მეცნიერებების პროფილით ხარისხიანი განათლების მიცემა (ამ მიმართულებით ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სპეცკურსის შექმნა როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი სპეციალისტების მოწვევით) და კომპეტენტური კადრების მომზადება ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში მშვიდობის მეცნიერებების შესაბამისი ხედვისა და პრაქსისის დასანერგად. ამ მიზნით, ასევე, ეფექტური იქნება სამშვიდობო ღონისძიებების, ფესტივალებისა და კონფერენციების ინტენსიური ორგანიზება; სამშვიდობო პროექტების განხორციელება და მათი განვითარების ხელშეწყობა როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონალური მასშტაბით; საზოგადოებრივი ჩართულობის ხელშეწყობა და მშვიდობის კულტურის გავრცელება მოსახლეობაში, რათა მოხდეს სოციუმის აზრის მომწიფება და მოცემული დისკურსის გაბატონება რეგიონში; მსოფლიოს სხვადასხვა სამშვიდობო ცენტრთან და მოძრაობასთან კოორდინირებული თანამშრომლობა.

მსგავსი კომპლექსური გარემოს შექმნამ და მოცემული მიმართულებით თანამშრომლობის თანმიმდევრულმა განვითარებამ კავკასიის რეგიონსა და მის გეოპოლიტიკურ ცენტრ, საქართველოს შეიძლება აპოვინოს საკუთარი, აუთენტური და ახალი ნიშა მსოფლიო თანამეგობრობის ოჯახში, რითაც შემდგომში შესაძლებელი იქნება კონსტრუქციული მონაწილეობის მიღება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ტროადული ეპოქიდან მომდინარე კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში.

## 5. დასკვნა

საქართველოსა და კავკასიას კონფლიქტებთან შეხების მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი გამოცდილება, მისი გადაფასებისა და მშვიდობის მეცნიერებების თვალთახედვიდან რევიზიის შედეგად, შესაძლებელია არა მარტო კონფლიქტური ტრადიციისადმი იმუნიტეტის გამომუშავების საშუალებად იქცეს, არამედ რეგიონში მშვიდობის ზონის შექმნის პრეცედენტთან მიგვაახლოვოს.

ამისათვის საშურ საქმედ მიგვაჩნია ჰაბერმასიანული დემოკრატიის სათათბირო მოდელით ხელმძღვანელობა, რომელმაც თანამშრომლობაზე ორიენტირებული და ინსტიტუციონალიზებული საჯარო დისკუსიების მეშვეობით შეიძლება ხელი შეუწყოს პოზიტიური მშვიდობის დისკურსის მეტი ეფექტურობით დამკვიდრებასა და გავრცელებას ქვეყანაში.

## Peace as a Common Good and Democratic Models

### *(Summary)*

The present work is an attempt to philosophically analyze preconditions of political, cultural, economical and social nature of peaceful *modus vivendi* in Georgia and generally in Caucasus. Peace as a common good and essential value of individual, or public development is discussed in the context of the differences incidental to various democratic models. The analysis of the above issues is performed with the purpose to shape the contours of transformation of the region and the countries in it into a complex system – zone of peace, which in comparison to the neutrality status can be better, more efficient and oriented towards third millennium.

The revision of democratic models from the perspective of peace studies reveals trends that facilitate constructive interaction and positive peace between the various segments of the political and social order. It applies this abovementioned structure to the pragmatic field for spreading the culture of peace, peace education, peace activities and joint venture projects; and all this to create another peace environment that will mature and transform the area between the West and the East into a new subject of peace, as a mediator between Europe and Asia, global North and global South.

## Мир как общее благо и демократические модели

(Резюме)

Настоящая работа представляет собой попытку философски проанализировать предпосылки политической, культурной, экономической и социальной природы мирного *modus vivendi* в Грузии и вообще на Кавказе. Мир, как общее благо и важная ценность для индивидуального, или общественного развития, обсуждается в контексте различий, связанных с разными демократическими моделями. Анализ вышеуказанных вопросов выполняется с целью формирования контуров трансформации региона и его стран в комплексную систему - зону мира, которая может быть лучше, эффективнее и ориентирована на третье тысячелетие по сравнению со статусом нейтралитета.

Впоследствии обзор демократических моделей с точки зрения наук о мире освещены тенденции, которые облегчают конструктивное взаимодействие и позитивный мир среди различных сегментов политического и социального порядка. Этим вышеупомянутая структура применяется к прагматической области для распространения культуры мира, образования в области мира, мирных мероприятий и совместных проектов; И все это для создания ещё одной окружающей среды мира, которая подготовит и превратит регион, расположенный между Западом и Востоком, в нового субъекта мира, в посредника между Востоком и Западом, между глобальным Севером и глобальным Югом.

## La pace come bene comune e modelli democratici

(*Riassunto*)

Il presente lavoro è un tentativo di analizzare filosoficamente le pre-condizioni della natura politica, culturale, economica e sociale del *modus vivendi* pacifico in Georgia e generalmente in Caucaso. La pace come un bene comune e un valore essenziale dello sviluppo individuale o pubblico sono discussi nel contesto delle differenze peculiari ai vari modelli democratici. L'analisi delle suddette problematiche è effettuata con lo scopo di modellare i contorni di trasformazione della regione e dei suoi paesi in un sistema complesso - zona di pace, che rispetto allo status di non allineamento può essere migliore, più efficiente e orientato verso il terzo millennio.

La revisione dei modelli democratici dalla prospettiva degli studi per la pace evidenzia le tendenze, che facilitano le relazioni costruttive e della pace positiva tra i vari segmenti dell'ordine politico e sociale. Si applica la suddetta struttura al campo pragmatico per diffondere la cultura di pace, l'educazione per la pace, attività e i comuni progetti di pace; e tutto ciò per creare ancora un'altro ambiente, che maturerà e trasformerà la zona situata tra l'Occidente e l'Oriente in un nuovo soggetto di pace, mediatore tra Est e Ovest, tra il Nord e Sud globale.

### ბიბლიოგრაფია:

1. უზნაძე, დიმიტრი - ომის ფილოსოფია, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, III წიგნი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ, 2015
2. პლატონი - სახელმწიფო, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2003 წ.
3. Angandoña, Antonio – The Common Good, IESE Business School, University of Navarra, Working Paper, WP-937, July, 2011, pp. 1-12  
<http://www.iese.edu/research/pdfs/di-0937-e.pdf>
4. Downing, Lyle A., Thigpen, Robert B. - Virtue and the Common Good in Liberal Theory, *The Journal of Politics*, Vol. 55, No. 4 (Nov., 1993), pp. 1046-1059  
[http://www.jstor.org/stable/2131947?loggedin=true&seq=1#page\\_scan\\_tab\\_contents](http://www.jstor.org/stable/2131947?loggedin=true&seq=1#page_scan_tab_contents)
5. Famakinwva, J. O. – The Liberal Common Good, *Diametros*, N. 12, June, 2007, pp. 25-43
6. Johan Galtung – “21st Century Conflicts, the Korean Peninsula, DMZ and Gangwon-do”, Speech at the International Forum on Development and Peace in Seoul, June 23-24, 2005  
[http://www.oldsite.transnational.org/SAJT/forum/meet/2005/Galtung\\_DMZ\\_ZOP.html](http://www.oldsite.transnational.org/SAJT/forum/meet/2005/Galtung_DMZ_ZOP.html)
7. Habermas, Jurgen – The Inclusion of the Other, The MIT Press, Cambridge, Massachusetts, 1998
8. Kant Immanuel – Per la pace perpetua, Feltrinelli, Milano, 2001
9. Lew Daly, In Search of the Common Good: The Catholic Roots of American Liberalism, *Boston Review*, May/June, 2007  
[https://divinity.uchicago.edu/sites/default/files/imce/pdfs/webforum/092007/common\\_good.pdf](https://divinity.uchicago.edu/sites/default/files/imce/pdfs/webforum/092007/common_good.pdf)
10. Lubenow, J. A. – Public Sphere and Deliberative Democracy in Jurgen Habermas: Theoretical Model and Critical Discourses, *American Journal of Sociological Research*, 2012, 2 (4), pp. 58-71

<http://article.sapub.org/pdf/10.5923.j.sociology.20120204.02.pdf>

11. Peace and Security, Social Science, Contemporary India: Issues and Goals 209, 2015, pp. 262-281

<http://www.nios.ac.in/media/documents/SecSocSciCour/English/Lesson-27.pdf>

12. Platone – Le leggi, BUR, Milano, 2005

13. Privitera, Walter – Sfera Pubblica e democratizzazione, Editori Laterza, Roma-Bari, 2001

14. Raeder C. Linda - Liberalism and the Common Good, *The Independent Review*, v.II, n. 4, Spring, 1998, pp. 519-535

15. Sandel, Michael, The Procedural Republic, Political Theory, 1984

16. Shahramnia, A, M. – Explanation of Deliberative Democracy in Philosophical Thoughts of Jurgen Habermas, African Journal of Political Science and International Relations Vol. 5(5), 2011, pp. 254-261

<http://www.academicjournals.org/journal/AJPSIR/article-full-text-pdf/F074FDF40660>

17. Аристотель - "Политика", Издательство АСТ, Москва, 2002,